

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „გეოგრაფია“

ზურაბ ჯიქია

ურბანული ჩამონადენის წყლის ხარისხის შეფასება და პროგნოზი

**გეოგრაფიის დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი
დისერტაცია**

სამეცნიერო ხელმძღვანელი: პროფ. დავით კერესელიძე

თბილისი

2024 წელი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University
Faculty of Exact and Natural Sciences

Doctoral Program „Geography“

Zurab Jikia

Assessment of the Urban Stormwater Runoff Quality and Predictions

The thesis work is presented to obtain a PhD - degree- in Geography

Scientific supervisor: Prof. Davit Kereselidze

Tbilisi

2024

აბსტრაქტი

სანიაღვრე წყლები მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი პრობლემაა ქალაქებსა და დაბებში. როდესაც წვიმა მოდის წყალგაუმტარ ზედაპირზე, იგი გადარეცხავს მათზე დაგროვებულ დამაბინძურებლებს და გადააქვს ადგილობრივ წყალმიმღებ ობიექტებში. დაბინძურებული სანიაღვრე წყალი საფრთხეს უქმნის როგორც ადამიანის ჯანმრთელობას, ასევე ეკოსისტემას.

ურბანულ რაიონებში სანიაღვრე წყლების დაბინძურების ერთ-ერთი მთავარი მიზეზი სხვადასხვა წყაროდან მათი წყალგაუმტარ ზედაპირზე აკუმულირებაა. წყაროები შეიძლება იყოს (თუმცა, არ შემოისაზღვრება), ავტომობილების ცვეთის მასალები, გაზონები, საგზაო ნიშნები, ნაგავი და სამშენებლო ნარჩენები.

განვითარებად ურბანულ დასახლებებს ხშირად არ გააჩნია წვიმის წყლის მართვის ადეკვატური ინფრასტრუქტურა. არასაკმარისი ან მოძველებული სადრენაჟე სისტემები, შეკავების ავზების ან მწვანე ინფრასტრუქტურის არ არსებობა ხელს უწყობს პიკური ჩამონადენების გაზრდას და დამაბინძურებლების ბუნებრივი ფილტრაციის შემცირებას.

სანიაღვრე წყლების დაბინძურების საკითხის გადასაჭრელად საჭიროა პროაქტიული ზომების მიღება. უპირველეს ყოვლისა, გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება წვიმის წყლის მართვის ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, არსებული სადრენაჟე სისტემების რეკონსტრუქციას და ისეთი ფუნქციების დამატებას როგორცაა, წყალგამტარი/შემკავებელი ტროტუარები, ბიორეტენციის გამწვანებები ან/და ადგილები, შეკავების ავზები.

ნაშრომში წარმოდგენილია რეალური ურბანული ზონიდან მოპოვებული მასალების ანალიზი, მაგალითად აღებულია ესპანეთის ქალაქ ფენეს ავტოსტრადაზე მოწყობილი საკონტროლო სექცია და მის ბაზაზე აგებული სიმულაციურ მოდელი (SWMM). მოდელს შეუძლია დამაბინძურებლების ტრანსპორტირების სიმულაცია და ამ მოდელის საშუალებით გაანგარიშებულია დამაბინძურებლების მიგრაცია სხვადასხვა რაოდენობის ნალექის დროს. შემდეგ ეტაპზე მოხდა აღნიშნული კალიბრირებული მოდელის თბილისის მაგალითზე მორგება, საკვლევ არეალად შეირჩა სამტრედიის ქუჩის წყალშემკვრები აუზი.

Abstract

Stormwater runoff is a significant environmental concern in small urban areas. When rain falls on impervious surfaces like roads, parking lots, and rooftops, it accumulates pollutants and carries them into local water bodies. The contamination of stormwater poses a threat to both human health and the ecosystem. This text will explore the issue of stormwater contamination in small urban areas, its causes, and potential solutions.

One of the primary causes of stormwater contamination in small urban areas is the accumulation of pollutants from various sources. Oil and grease from vehicles, fertilizers and pesticides from lawns and gardens, pet waste, litter, and construction debris are all common pollutants found in stormwater runoff. These contaminants can have detrimental effects on water quality, harming aquatic life and compromising the health of humans who rely on these water bodies.

Small urban areas often lack adequate stormwater management infrastructure, exacerbating the problem. Insufficient or outdated drainage systems, combined with a lack of retention ponds or green infrastructure, contribute to increased runoff and reduced natural filtration of pollutants. Additionally, limited public awareness and education about the impacts of stormwater contamination can lead to improper disposal of waste and an overall lack of environmental consciousness among residents.

To address the issue of stormwater contamination, proactive measures are necessary. First and foremost, improving stormwater management infrastructure is crucial. Retrofitting existing drainage systems with features such as permeable pavement, rain gardens, and bioretention areas can help to filter pollutants and promote natural infiltration. These green infrastructure solutions not only reduce stormwater runoff but also enhance the aesthetics and livability of urban areas.

This thesis shows analysis of materials taken from a real urban area, using the highway in Spanish city of Fene as an example control section; afterwards the SWMM model was build and calibrated. The Model has capabilities to analyze pollutants' transportation during different rain events. On the next stage calibrated SWMM model was applied to Tbilisi's catchment, using Samtredia street catchment as an example.

სარჩევი

შესავალი -----	7
თავი I ლიტერატურის მიმოხილვა -----	10
თავი II მოდელის აღწერა -----	35
2.1 - ციფრული მოდელები -----	35
2.2 - SWMM მოდელი -----	39
თავი III საპილოტე სექციის მართვა -----	47
3.1 - წყალშემკრები აუზის დახასიათება -----	47
3.2 - წვიმის რეჟიმი -----	52
3.3 - საგზაო ტრაფიკი -----	52
3.4 - გამოყენებული ხელსაწყოები და აღჭურვილობა -----	54
3.5 - შესრულებული სამუშაოები -----	60
3.6 - სტატისტიკური მეთოდების გამოყენება -----	67
თავი IV ლაბორატორიული სამუშაოები -----	70
4.1 - ქუჩის მოდელის დახასიათება -----	70
4.2 - მშრალი ნალექების გამორეცხვის ტესტი -----	72
4.3 - სინჯების მენეჯმენტი -----	74
4.4 - მიღებული მონაცემები -----	74
4.5 - მიღებული მონაცემების (დამაბინძურებლების მობილიზაციის) ანალიზი -----	86
4.6 - სინჯების სტატისტიკური ანალიზი -----	91
თავი V მოდელის ადაპტაცია თბილისისათვის -----	97
დასკვნა -----	101
გამოყენებული ლიტერატურა -----	103

ედვნება მამაჩემის, ნუგზარ ჯიქიას ხსოვნას.

შესავალი

პრობლემის აქტუალობა: საავტომობილო გზების და ურბანული არელების გაფართოება იწვევს წყალგაუმტარი ზედაპირის ფართობის ზრდას, რომელიც, თავის მხრივ, იწვევს გაურკვეველი წარმოშობის დამაბინძურებლის მატებას. როგორც წესი, საავტომობილო გზების დამაბინძურებლები არის ატმოსფერული ნალექები, ავტომობილების, ასფალტის და სხვა ინფრასტრუქტურის ცვეთის მასალები, დამაბინძურებლები გვხვდება სამივე ფორმაციაში: აერობული, მყარი და თხევადი. აერობული დამაბინძურებლები არ წარმოადგენს ჩვენი თეზისის კვლევის მიზანს.

სანიაღვრე წყლები გადარეცხავს ზედაპირზე მობილიზებულ დამაბინძურებლებს, მილების სისტემის მეშვეობით, ქართულ რეალობაში იგი პირდაპირ ჩაედინება მდინარეებსა თუ სხვა ბუნებრივ წყალმიმღებში. განვითარებულ ქვეყნებში, როგორც წესი, ისინი გაივლიან ჯერ დაყოვნების სალექრებს, წყალგამწმენდს და შემდეგ ჩაედინება ბუნებრივ წყალმიმღებში. სანიაღვრე წყალს გადააქვს სხვადასხვა ტიპის დამაბინძურებლები, როგორებიცაა ზეთი, ჰიდროკარბონები, ნუტრიენტები, ფოსფორი და მძიმე მეტალები, და ა.შ. ასევე, იგი წარმოქმნის დიდი მოცულობის მყარ დანალექებს. მძიმე მეტალები, როგორებიცაა ქრომი, ნიკელი, რკინა, ცინკი, ნიკელი, სპილენძი, მანგანუმი, თუთია, ვოლფრამი, ტიტანი არიან ურბანული არეების პოტენციური დამაბინძურებლები. ურბანული დამაბინძურებლები დიდი რაოდენობით შეიცავს, კადმიუმს, სპილენძს, ცინკს, ნიტროგონებს, ფოსფორს და არომატულ ჰიდროკარბონებს, ამიტომ დღის წესრიგში დგება დამაბინძურებელ ნივთიერებათა მიგრაციის ანალიზი და მოდელირება.

კვლევის მიზანია დამაბინძურებლების გადაადგილების შესწავლა სანიაღვრე წყლებში და მათი გაწმენდის ძირითადი მეთოდების გამოვლენა, საწყისი დამაბინძურებლების დახასიათება, მათი ზედაპირზე დალექვა და აკუმულირება, წვიმის დროს მისი გადარეცხვა და გადაადგილება, ამ მიზნების მისაღწევად შერჩეული ავტოსტრადის და ლაბორატორიული აქტივობების ჩატარება. თეორიული და პრაქტიკული საქმიანობების ძირითადი ნაწილი ჩატარდა ლა-კორუნიას (ესპანეთის

სამეფო) უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი ინჟინერიის სკოლის ჰიდრაულიკის ლაბორატორიაში.

კვლევის მეთოდოლოგია: სამუშაოები მოიცავდა როგორც საველე მუშაობას, ისე ლაბორატორიულ სამუშაოებს. საველე სამუშაოები მოიცავდა: წყალშემკრებ აუზზე ინფორმაციის შეგროვებას, სანიაღვრე ქსელების, საკონტროლო ჭებისა და ცხაურების მდებარეობების განსაზღვრას, საკონტროლო სექციის მოწყობას, სადაც განუწყვეტელ რეჟიმში ხდებოდა ნალექების და ხარჯის გაზომვა და სინჯების ავტომატური აღება, რომელიც იღებდა სინჯებს ხარჯზე დაყრდნობით. სამუშაოები ასევე მოიცავდა საკონტროლო სექციის მოვლა დასუფთავება.

ლაბორატორიული სამუშაოები მოიცავდა: დამაბინძურებლების კონცენტრაციების განსაზღვრას, ე.წ. პოლუტოგრაფის აგებას და მათ ჰიდროგრაფთან თავსებადობას. იგი ასევე მოიცავდა რეალური ქუჩის სეგმენტზე განთავსებული ხელოვნური დამაბინძურებლების ტრანსპორტირების შესწავლას. ამისათვის გამოყენებულ იქნა, LISA გარემოს ინჟინერიის ქიმიური ლაბორატორია, CITEEC ცენტრალური საინჟინრო ლაბორატორია და კვლევების მხარდამჭერი ცენტრალური ლაბორატორია SAI.

დასახული მიზნების მისაღწევად სამუშაო პროცესი ძირითადად მოიცავდა შემდეგ ეტაპებს:

- წყალმიმღებში სანიაღვრე წყლის ხარჯის ანალიზი,
- მშრალი დანალექი მასალების ანალიზი,
- სანიაღვრე წყალში გამოვლენილი მასალების ანალიზი,
- დამაბინძურებლების ანალიზი და დახარისხება,
- მიღებული ინფორმაციის სტატისტიკური ანალიზი,
- SWMM მოდელირების პროგრამის გამოყენებით, ხარჯების და დამაბინძურებლების რეპლიკაცია და მათი რეალურ შედეგებთან კალიბრაცია,
- მიღებული კალიბრირებული მოდელის თბილისის მაგალითზე გამოყენება და მიღებული შედეგების შედარება, მოდელის ვალიდაცია.

პირველ რიგში, მინდა დიდი მადლობა გადავუხადო ჩემს ესპანელ პროფესორს ბატონ ხუაკინ სუარეს ლოპესს, ლა კორუნიას უნივერსიტეტის გარემოსდაცვითი ლაბორატორიის ყველა თანამშრომელს, რომელთა მხარდაჭერითაც მოხდა სადისერტაციო ნაშრომში გამოყენებული კვლევების ჩატარება.

ასევე, დიდ მადლობას ვუხდის ჩემს მეუღლეს, თეა გერგედავას, მხარდაჭერისა და ინსპირაციისათვის. დიდი მადლობა დედაჩემს და ჩემი ოჯახის ყველა წევრს თანადგომის, მოთმინებისა და გამძლეობისათვის.

თავი I ლიტერატურის მიმოხილვა

დამაბინძურებლების ძირითადი წყაროები და მათი დახასიათება

სწრაფმა ურბანიზაციამ, წყალგაუმტარი ზედაპირების გაზრდამ შედეგად მოგვცა როგორც ჰიდროგრაფის გაზრდილი პიკები ასევე ტიპური დამაბინძურებლების კონცენტრაციების ზრდა. ეს კომბინაცია იწვევს როგორც სანიაღვრე სისტემების გადავსებას ასევე მიმდები რეცეპტორების მკვეთრ დაბინძურებას (Sartor, J.D.; Boyd, G.B.; Agardy, 1974). დანალექი ნაწილაკები ურბანულ გარემოში შეიძლება იყოს ფიზიკური, ქიმიური ან ბიოლოგიური წარმოშობის და ხასიათდებოდნენ მათვის დამახასიათებელი თვისებებით (Gulson et al., 1995). დამაბინძურებლები იყოფიან შემდეგ ძირითად კატეგორიებად: შეწონილი ნაწილაკები, ჟანგბადის მოხმარება, ნიტრატები, მძიმე მეტალები, ორგანული ნაერთები, ნავთობპროდუქტები და ბაქტერიები. რა თქმა უნდა ყველა ეს დამაბინძურებლები ერთდროულად არ გვხვდება თითოეულ ცალკე ადგილზე მოვლენასა თუ აუზში, არამედ ისინი შეიძლება იცვლებოდეს როგორც სივრცეში ასევე დროში და მათი ეს ცვალებადობა ძალიან ფართეა. ვაშინგტონი შტატის საგზაო დეპარტამენტი აცხადებს, რომ მათ მიერ ყველაზე ხშირად ხდება შეწონილი ნაწილაკების და მძიმე მეტალების მონიტორინგი (Portele, 1981; Yonge, D., A. Hossain, M. Barber, S. Chen, 2002). მძიმე მეტალები და ორგანული ნაერთები ძირითადად ერწყმებიან მცირე ზომის ნაწილაკებს <math>< 63\text{მკრ}</math>, აქედან გამომდინარე შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციები თითქმის ყველა ნაშრომშია განხილული.

ურბანულ გარემოში დამაბინძურებლების სამი წყარო გვხვდება, ატმოსფერული ნალექები, ტრაფიკისგან გამოწვეული ემისიები, პირდაპირი და არა-პირდაპირი დანალექები, თუმცა ძირითადი წყაროების ზედაპირები მოიცავს, გზის საფარს, სახურავებს და გამწვანებულ არეებს (Calveiro, 2012; Pitt, Bannerman, et al., 2004; Pitt, Williamson, et al., 2004).

სანიაღვრე წყლებში დამაბინძურებლების კონცენტრაციაზე ძირითად გავლენას ახდენენ, მათი წყაროები, მიწათსარგებლობის არეები, დანალექი ნაწილაკების ზომები და

წვიმამდე მშრალი დღეების რაოდენობა. ამ ფაქტორების გათვალისწინება ხდება ყოველი აუზის ჩამონადენის შეფასებისას და შედარებისას.

ატმოსფერული დამაბინძურებლები

ატმოსფერული ნალექები შეიცავენ ისეთ დამაბინძურებლებს როგორცაა, ნიტრატები, არომატული ჰიდროკარბონები და მძიმე მეტალები, ისინი ატმოსფეროში ძირითადად ავტომობილის საწვავიდან წიაღისეულ საწვავზე მომუშავე ელექტროსადგურებიდან ხვდებიან (Calveiro, 2012). ატმოსფერული დანალექები შეიძლება იყოს მშრალი და სველი სახის, მშრალი სახით ისინი მიმდებარე ტერიტორიებიდან ატანილი მტვრის ნაწილაკები შეიძლება იყოს ხოლო სველი წვიმის სახით გვევლინება (Winkler, 2005).

მშრალი დანალექები მოიცავს ატმოსფერული სახეობის აირებს (არასტაბილურ ნივთიერებებს) და აეროზოლებს, მათი მიმოქცევა შეიძლება იყოს ცალმხრივი როდესაც ზედაპირი შთანთქავს მათ და შეგვიძლია განვიხილოთ როგორც შეუქცევადი დანაკარგი და ორმხრივი როდესაც ზედაპირი ასევე წარმოადგენს ერთგვარ რეზერვუარს მათ შესანახად რა დროსაც იგი იძლევა მათი ატმოსფეროში რე-ემისიის საშუალებას (Hvitved-Jacobsen et al., 2010; Jacob, 2006).

ატმოსფერული დამაბინძურებლების დაგროვების სიჩქარე დამოკიდებულია გარემო ფაქტორებზე და მათ ფიზიო-ქიმიურ მდგომარეობაზე. დევისმა (2001) მიანიშნა რომ ატმოსფერული დანალექები რიგი მძიმე მეტალების წყაროს წარმოადგენენ, მაგალითად კადმიუმი, ტყვია და თუთია (Davis et al., 2001). ვერცხლისწყლის კონცენტრაციები აღმოაჩინეს ფულკენსონმა და ჰუბერმა (Fulkerson et al., 2007; Huber et al., 2016). ავტომობილის ემისიები რომლებიც ატმოსფეროში გაფრქვეულ მძიმე მეტალების წყაროს წარმოადგენენ ინდუსტრიულ რაიონებში უფრო მეტია ვიდრე საცხოვრებელ რაიონებში (Goulding et al., 2010; Joshi & Balasubramanian, 2010; Sabin, L.D.; Jeong, H.L.; Stolzenbach, K.D.; Schiff, 2005).

ატმოსფერული ნალექები ასევე ნიტრატების წყაროც შეიძლება იყოს, მაგალითად სანიაღვრე წყლების მოვლენის საშუალო კონცენტრაციებში (მსკ), ნიტრატების დონე 47% აღწევს ხოლო საერთო ფოსფორისა 25%-ს (Charbeneau & Barrett, 1998; Li & Barrett, 2008).

ატმოსფერული დამაბინძურებლების ზუსტი წყაროების დადგენა რთულია, რაც გამოწვეულია ქარის ტურბულენტური ძალის გავლენაზე აიტაცოს და შორ დისტანციაზე გადაადგილოს დამაბინძურებლები. მაგალითად ჰარისონმა და ვილსონმა (1985) ამტკიცებდნენ რომ 240მიკრონამდე ზომის ნაწილაკები თავისუფლად გადაადგილდება ქართან ერთად შორ დისტანციაზე, თუმცა ავტომობილების მიერ წარმოქმნილი ტურბულენცია მათ გადაადგილებაზე მხოლოდ ლოკალურ ზეგავლენას ახდენს, ხელს უწყობს გზის საფარიდან ბორდიურისკენ გადაადგილებას (Ball et al., 1998).

ზედაპირული დამაბინძურებლები

ზედაპირული დამაბინძურებლები ასევე ცნობილია როგორც ტრაფიკის მიერ გამოწვეული ემისიები. მათი დაგროვება ხდება წყალგაუმტარ ზედაპირზე წვიმის მოსვლამდე, მათი ძირითადი წყაროებს წარმოადგენს, ანთროპოგენული აქტივობები რომელიც მოიცავს, საავტომობილო დამაბინძურებლებს, მტვერს, საყოფაცხოვრებო ნარჩენებს და ცხოველთა ექსკრემენტებს (Aryal & Lee, 2009). ზედაპირული დამაბინძურებლები გადაირეცხება წვიმის მიერ და მათი მაქსიმალური კონცენტრაცია სანიაღვრე წყალში მოვლენის დასაწყისში აღწევს, ამას პირველი ტალღის ეფექტს ეძახიან (პტე).

მათი წარმოშობა და ზედაპირზე აკუმულირება სხვადასხვა ანთროპოგენული აქტივობით შეიძლება იყოს გამოწვეული როგორებიცაა, საყოფაცხოვრებო ნარჩენები, ინდუსტრიული პროცესები, მშენებლობა, ნგრევა, ასევე ეროზიის და კოროზიის პროცესები. ავტომობილები წარმოადგენენ დამაბინძურებლების პირდაპირ (ავტომობილის ცვეთის მასალები) და არაპირდაპირ (მათ მიერ ატაცებული და გადაადგილებული ნაწილაკები) წყაროს (Asplund, R.L, Ferguson, J.F, Mar, 1980). საბურავების ცვეთა, რეზინის, თუთიის, ტყვიის, ქრომის, სპილენძის და ნიკელის ძირითად წყაროს წარმოადგენენ, სამუხრუჭე სისტემები წარმოქმნის, ნიკელის, რკინის,

თუთიის, ქრომის დეპოზიტებს (Pitt, Williamson, et al., 2004). გობელმა და სხვებმა (2006) შეადარეს ურბანული და არა ურბანული აუზებში ჩამონადენი და აღმოაჩინეს რომ მათში სრულად შეწონილი ნაწილაკები (სშნ) განისაზღვრება 66 მგ/ლ-დან 937 მგ/ლ-მდე, ხოლო ჟანგბადის ქიმიური მოხმარება (ჟქმ) გაიზარდა 2 მგ/ლ-დან 36 მგ/ლ-მდე (Gobel, P., Dierkes, C. and Coldewey, 2006) არაურბანულიდან, ურბანულის მიმართულებით. სხვადასხვა მკვლევარები ასევე აღნიშნავენ, რომ ასფალტის ზედაპირი შეიცავს მძიმე მეტალებს როგორცაა, თუთია, კადმიუმი, ტყვია და მათი მასა საშუალოდ 0,7 გრამს გრძივ კილომეტრზე შეადგენს (Gobel, P., Dierkes, C. and Coldewey, 2006; Shaheen, 1975).

მიწათსარგებლობა

დამაბინძურებლების დისტრიბუცია და კონცენტრაცია ცვალებადია მიწათსარგებლობის არელების მიხედვით და ისინი მათი განსაზღვრის ერთ-ერთ მეთოდს წარმოადგენენ. ქალაქები და დასახლებული ადგილები ძირითადად იყოფა, საცხოვრებელ, კომერციულ და ინდუსტრიულ მიწათსარგებლობის ზონებად. მათ განსხვავებული პარამეტრები გააჩნია, როგორცაა წყალგაუმტარი ზედაპირის ფართობი, გამწვანებული არეალის ფართობი, ანთროპოგენული აქტივობები ტიპები, ტრაფიკი და მისი შემადგენელი ავტომობილები, გზებისა და შენობების რაოდენობა. ეს ყველაფერი გავლენას ახდენს დამაბინძურებლების კონცენტრაციის და მათი წვიმის მიერ გადარეცხვის დონეზე. მიწათსარგებლობის ყოველ ტიპს გააჩნია მისთვის დამახასიათებელი დამაბინძურებლები, თუმცადა ყველა მათი ძირითადი მდგენელი წყალგაუმტარი ზედაპირის ფართობია.

გუნავარდანამ (2012) აღნიშნა, რომ ინდუსტრიულ ზონაში სშნ მაღალი კონცენტრაცია აღინიშნება, ასევე ინდუსტრიული და კომერციული ზონები მძიმე მეტალების წყარო წარმოადგენენ (Gunawardana et al., 2012). ჰერნგენმა (2006) წარმოადგინა მყარი დანალექების ჯამური კონცენტრაციები სხვადასხვა მიწათსარგებლობის ზონებისათვის, საცხოვრებელ ზონაში 2449 მგ/მ²-ზე, ინდუსტრიულ ზონაში 6876 მგ/მ²-ზე, და კომერციულ ზონაში 15882 მგ/მ²-ზე (Herngren et al., 2006). დანალექების დაგროვების მექანიზმები ცალკე თავში იქნება განხილული.

ნაწილაკების ზომის განაწილება

ნაწილაკების ფუნდამენტური მახასიათებელია მისი ზომა. იგი განსაზღვრავს და გვადლევს ცნობებს მისი დაგროვებისა და ტრანსპორტირების უნარებზე (Pye & Blott, 2004).

ნაწილაკების ზომის განაწილება (ნზგ) მნიშვნელოვან გავლენას ახდენს სანიაღვრე წყლების გაწმენდის პროცესებზე, ამის ორი მიზეზია: 1) ზომა დიდ გავლენას ახდენს ნაწილაკის დალექვის სიჩქარეზე; 2) გრანულომეტრია და დანალექების დაგროვილი მასა გვიჩვენებს დანალექების და მათთან დაკავშირებული დამაბინძურებლების მობილობას. ცხრილში მოყვანილია ნზგ-ს ძირითადი დაყოფა ზომების მიხედვით (United Nations Environment Programme & World Health Organization, 1996). ელისმა და რევიტმა 1982) და ბალმა (1998) სხვადასხვა ავტოსტრადაზე აკუმულირებული დანალექების შესწავლა განახორციელეს. და დაასკვნეს, რომ ნზგ პოზიტიურ ლოგნორმალურ განაწილებს ექვემდებარება, ძირითადი ზომით 500-2000 მიკრონამდე. ბორდიურის გასწვრივ დიდი ზომის დანალექები გვხვდება და მათი ზომა საავტომობილო გზის ცენტრისკენ კლებულობს D50 ნაწილაკების და ცენტრში მათი ზომა ძირითადად 150 მიკრონზე ნაკლებია (Deletic & Orr, 2005; Viklander, 1998; Zafra et al., 2008).

ცხრილი 1. 1 - დანალექების ვენტვორდის განაწილების შკალა (Blair & McPherson, 1999).

ტიპი	ზომა (მმ)	შეკავშირების ტიპი
ქვა	256-64	არა შეკავშირებული
ღორღი	64-2	არა შეკავშირებული
ძალიან მსხვილი ქვიშა	2-1	არა შეკავშირებული
მსხვილი ქვიშა	1-0.5	არა შეკავშირებული
საშუალო ქვიშა	0.5-0.25	არა შეკავშირებული
წვრილი ქვიშა	0.25-0.125	არა შეკავშირებული

მალიან წვრილი ქვიშა	0.125-0.063	არა შეკავშირებული
სილა	0.062-0.004	შეკავშირებული
თიხა	0.004-0.00024	შეკავშირებული

ძირითადად გრანულომეტრიული ანალიზისას შემდეგ ზომათა ინტერვალებს იყენებენ: >500მკ, 500-250მკ, 250-63მკ და <63მკ.

ნაწილაკის ზომა განაპირობებს მის თვისებას შეითავსოს დამაბინძურებლები, საზოგადოდ ცნობილია, რომ მცირე ზომის ნაწილაკებს უფრო მეტად შეუძლიათ შეითვისონ დამაბინძურებლები ვიდრე დიდი ზომისას. გასტალდინიმ და სილვამ (2013) აღმოაჩინეს ნზგ-სთან დაკავშირებული სხვადასხვა დამაბინძურებლები ურბანულ გარემოში. ისინი ასკვნიან „მძიმე მეტალები ყველაზე მეტ კონცენტრაციას < 63მკ ავლენენ. მშრალ დანალექების სინჯებში ქქმ და ფოსფორი > 500მკ. ამონიუმი, ნიტრატები, თუთიის და ტყვიის კონცენტრაციები 63-250მკ ზომასთან არის ასოცირებული“ (Gastaldini et al., 2013).

წვიმის მოვლენის შემდეგ დიდი ზომის ნაწილაკები ბორდიურის გასწვრივ მობილიზდებიან. ზაფრა (2008) აღმოაჩინა, რომ ძირითადად სანიაღვრე წყლის სინჯებში აღმოჩენილი 30% სშნ-სა 31მკ-ზე მეტია და 93% 45მკ-ზე ნაკლები. მისმა კვლევამ აჩვენა, რომ დიდი ზომის ნაწილაკების გადაადგილებას ძირითადად წვიმის წვეთის კინეტიკური ენერგია განაპირობებს, ხოლო შედარებით მცირე ზომის ნაწილაკები ზედაპირული დინებისას გადაირეცხება (Zafra et al., 2008).

ცხრილი 1. 2 - მძიმე მეტალების კონცენტრაცია, ნზგ-ს მიხედვით (Gastaldini et al., 2013).

მძიმე მეტალი	ზომა	დამაბინძურებლების კონცენტრაცია ნაწილაკების ზომების მიხედვით				
		S1/C1	S2/C2	S1/C2	S2/C2	S2/C3
მეტალი	ნაწ. ზომა					
სპილენძი	>500მკ	0.820	0.740	0.820	1.060	0.830

	500-250მკ	0.720	0.980	0.790	0.950	0.690
	250-63მკ	0.670	1.190	0.670	1.520	1.490
	<63მკ	3.010	3.010	3.980	5.510	5.480
თუთია	>500მკ	3.300	5.620	1.720	3.390	2.280
	500-250მკ	3.040	4.600	1.990	3.690	2.230
	250-63მკ	3.800	8.790	1.880	6.220	4.000
	<63მკ	5.220	7.820	5.980	13.600	10.200
ნიკელი	>500მკ	0.015	0.130	0.130	0.110	0.140
	500-250მკ	0.065	0.115	0.185	0.110	0.095
	250-63მკ	0.095	0.135	0.095	0.210	0.175
	<63მკ	0.395	0.250	0.395	0.400	0.445
ტყვია	>500მკ	0.060	0.225	0.105	0.630	0.230
	500-250მკ	0.235	0.295	0.210	0.295	0.320
	250-63მკ	0.420	0.490	0.170	0.535	0.795
	<63მკ	1.480	1.520	1.120	1.300	1.840
S1 = საიტი 1, S2 = საიტი 2						
C1 = კამპანია 1, C2 = კამპანია 2, C3 = კამპანია 3						

წყალგაუმტარ ზედაპირზე ნაწილაკების განთავსებასთან ერთად ნზგ ასევე განაპირობებს მათი მექანიკურად მოშორების ალბათობას. სარტორმა და ბოიდმა (1972), აღმოაჩინეს რომ ქუჩის მექანიკური გაწმენდა 45მკ-ზე ნაკლები ზომის ნაწილაკების მხოლოდ 15% აშორებს და 246მკ-ზე პატარა ნაწილაკების 48% მოაშორებს, მათი კვლევა


ადგენს რომ ქუჩის მექანიკური გაწმენდა არ არის ეფექტური დასუფთავების მექანიზმი (Ball et al., 1998). ამ იდეას ასევე იზიარებენ და თავიანთ შრომებში ასახავენ სხვადასხვა ავტორები (Calveiro, 2012; Chebbo, 1992; *Update of SuDS construction guidance*, 2014; Saget et al., 1996). ძირითადი დებულებები შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით:

- ნაწილაკები აკუმულირდება სავალი გზისა და ბორდიურის გასწვრივ, მათი დიამეტრი ძირითადად 200 – 1000 მიკრონამდეა, საშუალო კონცენტრაცია D50, 300-400 მიკრონს შეადგენს (გრავიტაცია: 2,6),
- საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლებში D50, 30-40 მიკრონია (გრავიტაცია: 1,5),
- კომბინირებულ ქსელში წვიმის შედეგად გადაადგილებული ნაწილაკები პატარა ზომისაა 30 – 40 მიკრონი და ისინი ძირითადად შეწონილი სახით გადაადგილდებიან (Chebbo, 1992).
- სანიაღვრე ქსელს უფრო დიდი ზომის ნაწილაკების 200 – 1000 მიკრონი ტრანსპორტირება შეუძლია და ისინი ძირითადად გადათრევით ან ზედაპირზე გადახტომით გადაადგილდებიან (Ashley et al., 1999; Crabtree, 2003).

ტრანსპორტირების მხრივ ნზგ დიდი გავლენა აქვს მათი გადარეცხვის შესაძლებლობაზე. ზაფრამ (2008) თავის ნაშრომში აღნიშნავს, ნაწილაკების წვიმის ნაკადის მიერ ტრანსპორტირების შესაძლებლობა იზრდება ნაწილაკების ზომის შემცირების პარალელურად. იგი აღნიშნავს რომ საკვლევ არეალში ასფალტის ზედაპირზე (დახრა: 0,2% და 0,4%) ნაწილაკები 500 მიკრონზე ნაკლები იყო ავლენდნენ ყველაზე მეტ შესაძლებლობას ნაკადის მიერ ტრანსპორტირებისა, ხოლო წვიმის შემდეგ დარჩენილი ნაწილაკების ზომა შედარებით დიდი ზომისაა. ასევე ნზგ განაპირობებს ნაწილაკების თვისებას ჩაიჭედოს ზედაპირის ფორებში სხვადასხვა კლიმატოლოგიური ფაქტორების ზემოქმედების შედეგად ისინი ძირითადად მტვრის ზომისაა, 27% ფიქსირებული ნაწილაკებისა 63 მიკრონზე ნაკლებია. მანდ ასევე დაასკვნა, რომ 125 მიკრონზე ნაკლები ზომის ნაწილაკებს აკუმულირების უფრო მაღალი შესაძლებლობა გააჩნია (Zafra et al., 2008).

ვაზემ და ჩიუმ (2002) განსაზღვრეს ნუტრიენტების კონცენტრაციები სხვადასხვა ზომის ფრაქციებისათვის. მათ დაადგინეს რომ სინჯებში ყველაზე მეტი კონცენტრაცია 11 – 150 მიკრონამდე ფრაქციებზე მოდიოდა, ხოლო მათი მოშორებისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნაწილაკების ზომა 11 მიკრონი (Vaze & Chiew, 2002). ამიაკის დატვირთვა დაფიქსირდა დელეტის (2005) სავლე კვლევაში, სადაც ნაწილაკების ზომა შედარებით მაღალი იყო, 63 – 250 მიკრონი პირველი კამპანიის დროს და 250 – 500 მიკრონის მეორე კამპანიისას. იგივე კვლევისას მათ გამოავლინეს ნიტრატების ყველაზე მაღალი შემცველობა 63 -250 მიკრონის ფრაქციებში, უფრო დიდი ზომებში მათი შემცველობა უმნიშვნელო იყო, ხოლო საშუალო დატვირთვამ 45,52 მგ/მ² შეადგინა. ფოსფატების შემთხვევაში ისინი ფიქსირდებოდა 63 მიკრონზე ნაკლებ და 500 მიკრონზე მეტ ფრაქციებში, ხოლო მათი საშუალო დატვირთვა 0,419 მგ/მ²-ია. (Deletic & Orr, 2005).

ჩარტერსმა და მკვლევართა ჯგუფმა შეაგროვა და შეადარა სხვადასხვა საერთაშორისო კვლევებში მოყვანილი ურბანული ჩამონადენის ნზგ-ს მონაცემები და შეადარეს ისინი სშნ-ების მნიშვნელობებს, გზის ჩამონადენს ქონდა ყველაზე მეტი სშნ კონცენტრაცია. ნაშრომის ზოგიერთი შედეგი წარმოდგენილია ნახ.1.1. და ცხრ.1.3 (Charters et al., 2015).



ნახაზი 1. 1 - ზომის განაწილების მაგალითი (Charters et al., 2015) მიხედვით.

ცხრილი 1.3 - ჯამური სტატისტიკური მონაცემები, ნზგ-სა და სშნ-თვის სხვადასხვა ზედაპირისათვის.


ჩამონადენის ტიპი	სინჯების რაოდენობა	D10 (მკ)	D50 (მკ)	D90 (მკ)	% <63 (მკ) პროცენტი	
ბეტონის ზედაპირი	27	24.7 (10.3-58.1)	71.0 (29.9-96.7)	276.9 (53.2-976.3)	41.8 (14.0-97.7)	
სპილენძის სახურავი	25	18.1 (5.3-33.9)	60.8 (43.2-78.3)	162.2 (61.0-398.7)	53.8 (36.7-91.8)	
გალვანიზირებული სახურავი	23	30.3 (10.9-57.9)	72.1 (52.8-91.5)	164.5 (75.1-683.4)	41.0 (13.87-95.3)	
ასფალტის ზედაპირი	28	23.2 (4.0-53.7)	71.6 (11.7-102.9)	177.2 (42.4-784.5)	38.9 (3.0-99.8)	
ჩამონადენის ტიპი	პირველი ტალღა			სტაბილური დინება		
	საშ. (მგ/ლ)	მინ. (მგ/ლ)	მაქს. (მგ/ლ)	საშ. (მგ/ლ)	მინ. (მგ/ლ)	მაქს. (მგ/ლ)
ბეტონის ზედაპირი	11,9	2,7	30,8	4,1	2,5	7,6
სპილენძის სახურავი	191,5	13,9	453,7	3,3	1,2	11,7
გალვანიზირებული სახურავი	13,4	6,2	22,3	4	1,2	6,8
ასფალტის ზედაპირი	158,2	77,1	327,4	53,5	16,4	157,2

დამაბინძურებლების დაგროვება

დამაბინძურებლების დაგროვება ანუ აკუმულირება, პირველი პროცესია ურბანული დამაბინძურებლების ტრანსპორტირებისა თუ მოდელირების ციკლში. დამაბინძურებლების დაგროვება ვითარდება წრფივად ან ექსპონენციურად და დროთა განმავლობაში ხდება ასიმპტომური. ეს აღწერილია ლიტერატურის მიმოხილვაში, თუმცა ექსპერიმენტული შედეგები არ გვამცხევს მათ შორის ცალსახად არჩევის საშუალებას.

დამაბინძურებლების (ნაწილაკების) დაგროვება დაკავშირებულია რამდენიმე ფაქტორზე, საავტომობილო ტრაფიკი და მიწათსარგებლობა, ქარი, ანთროპოგენული აქტივობა, ქუჩის წმენდა, გადარეცხვა და ა.შ. ეს ფაქტორები მოქმედებენ დამაბინძურებლების დაგროვებაზე, მათ გადანაწილებაზე და გადატანაზეც, აქედან გამომდინარე დაგროვების სრული მასა ძირითადად დამოკიდებულია წინა მშრალ პერიოდზე თუმცა მათი ზრდა ყოველთვის არ მატულობს დღეების მატებასთან ერთად.

ეგოდავატამ და გუნეტიკლემ (2006), აღნიშნეს, რომ ყველაზე მეტი დაგროვების მაჩვენებელი შეინიშნება პირველი ორი დღის განმავლობაში და შედარებით კლებულობს მომდევნო დღეებისას. დაგროვების მაჩვენებელი საწყის პერიოდში შეადგენდა 1–2 გ/მ²/დღეში და დაკვირვების პერიოდში არ ცდებოდა 6 გ/მ²/დღე.



ნახაზი 1. 1 - დამაბინძურებლების დაგროვება სარტორი და ბოიდის მიხედვით (Sartor, J.D.; Boyd, G.B.; Agardy, 1974).

მათ დაადგინეს რომ დამაბინძურებლების კონცენტრაციის მატება ძირითადად პირველი ორი დღის განმავლობაში მატულობს მნიშვნელოვნად ხოლო შემდეგ შედარებით კლებულობს, ხოლო 9-11 დღის შემდეგ კონსტანტას აღწევს. ქვევით ცხრილში მოყვანილია სხვადასხვა ავტორების მიერ გამოკვლეული, დამაბინძურებლების დაგროვების მაჩვენებელი მშრალ დღეებთან მიმართებაში.

ცხრილი 1. 4 - სხვადასხვა კვლევებში დაფიქსირებული დამაბინძურებლების დაგროვების მაჩვენებლები.

ავტორი	მწს	მყარი ნაწილაკები გ/მ ²	მშრალი დღეები
Egodawatta et al. 2007	საცხოვრებელი	3,52	-
Egodawatta et al. 2007	კომერციული	1,74	-
Egodawatta et al. 2007	ინდუსტრიული	4,25	-
Liu, 2011	საცხოვრებელი	3,52	8
Liu, 2011	საცხოვრებელი	1,27	17
Liu, 2011	კომერციული	1,74	4
Liu, 2011	კომერციული	1,18	10
Liu, 2011	ინდუსტრიული	2,99	4
Liu, 2011	ინდუსტრიული	4,25	5
Herngren, 2006	საცხოვრებელი	0,82	2
Herngren, 2006	კომერციული	5,29	1
Herngren, 2006	ინდუსტრიული	2,29	7
Miguntana, 2009	საცხოვრებელი	2,25	8
Miguntana, 2009	კომერციული	4,06	11
Miguntana, 2009	ინდუსტრიული	3,44	9
Miguntana, 2010	საცხოვრებელი	2,25	8

Miguntana, 2010	ინდუსტრიული	3,44	9
Miguntana, 2010	კომერციული	4,06	11

ეს ცხრილი მაგალითია იმისა თუ მიწათსარგებლობა და სხვა გარემოებები როგორ გავლენას ახდენენ დამაბინძურებლების დაგროვებაზე, ყველაზე მაქსიმალური რაოდენობა 4.25გ/მ² დაფიქსირდა 4 დღეს, ხოლო მინიმალური 0.82გ/მ² 2 დღეს.

სხვა მკვლევარმა მიგუტანა (2010) ასევე შეისწავლა სხვადასხვა მიწათსარგებლობის ზონებში დამაბინძურებელთა დაგროვება და ისინი ზომის მიხედვით დაახარისხა, კვლევაში ნაჩვენებია, რომ შეგროვებულ მასალაში 150 მიკრონზე ნაკლები ზომის ნაწილაკების პროცენტული მაჩვენებლები ყველაზე მაღალია, რაც განაპირობებს ასევე მძიმე მეტალების უფრო მაღალ კონცენტრაციებს (Prasadani, 2010).

ცხრილი 1. 5 - დამაბინძურებლების ზომათა განაწილება მიწათსარგებლობის მიხედვით.

მიწათსარგებლობა	მყარი ნაწილაკები %					მყარი ნაწილაკები (გ/მ ²)	მშრალი დღეები
	<1	1-75	75-150	150-300	>300		
	µm	µm	µm	µm	µm		
საცხოვრებელი	29,33	14,18	42,50	11,82	2,17	2,25	8
ინდუსტრიული	33,01	8,27	48,62	6,60	3,50	3,44	9
კომერციული	26,41	7,36	38,10	19,33	8,81	4,06	11

დამაბინძურებლების აკუმულირების პროცესზე ასევე გავლენას ახდენს ქუჩის გაწმენდითი სამუშაოები, თუმცა მათი ეფექტიანობა მცირე ზომის ნაწილაკებისათვის ნომინალურია, ზაფრამ, ტემპრანომ და ტახერომ (2008) გამოიკვლიეს მათი ეფექტურობა სხვადასხვა ზომის ნაწილაკებისათვის და დაადგინეს, რომ 250 მიკრონზე ნაკლები ზომის ნაწილაკებზე მათი ეფექტურობა 15% შეადგენს (Zafra et al., 2008).

აკუმულირების პროცესი გამოითვლება შემდეგი ფორმულით, რომელსაც საფუძვლად უდევს ექსპონენციური ასიმპტომური დაგროვების მოდელი (Alley & Smith, 1981).

$$\frac{\partial M_a}{\partial t} = A_{CCU} - D_{ISP} M_a \quad (1.1)$$

სადაც:

M_a - t დროში აკუმულირებული ნაწილაკების მასა (კგ),

t - დრო (დღე),

A_{CCU} - დღიური დაგროვების ნორმა (კგ/დღე),

D_{ISP} - გაქრობის კოეფიციენტი (დღე⁻¹). ეს არის სხვადასხვა ფაქტორების გამო (ქარი, ქუჩის წმენდა ა.შ.) ნაწილაკების მოშორების კოეფიციენტი.

M_a იზრდება სანამ ზედა ლიმიტი A_{CCU}/D_{ISP} მნიშვნელობის ტოლი არ გახდება, როგორც წესი იგი მიიღწევა 9-10 დღისას მასზე ასევე დიდ გავლენას სხვადასხვა ფაქტორები როგორცაა მიწათსარგებლობა და ამინდი.


აღნიშნული დაგროვების მოდელი იმპლემენტირებულია სანიაღვრე წყლების მენეჯმენტის მოდელირების პროგრამაში (SWMM). რომელიც ფართოდ გამოიყენება მსოფლიო მასშტაბით, საბოლოო ჯამში დაგროვების მოდელი დაფუძნებულია წინამორბედ მშრალი დღეების რაოდენობაზე და მისი კავშირი აკუმულაციის კოეფიციენტთან შეიძლება იყოს, წრფივი, არა წრფივი და ექსპონენციური.

დამაბინძურებლების გადარეცხვა

გადარეცხვა არის შემდეგი ეტაპი ნაწილაკების ტრანსპორტირებისას. წვიმიანი ამინდის დროს ურბანულ ზედაპირზე დაგროვილი ნაწილაკები ატაცებულ იქნება წვიმის ზედაპირული დინების მიერ და გადატანილ იქნება სანიაღვრე სისტემაში ან სხვა წყალმიმღებში. გადარეცხვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პარამეტრია წვიმის

ინტენსივობა, განსაკუთრებით მაქსიმალური ინტენსივობის კვადრატი (Shivalingaiyah & James, 1984). გადარეცხვის პროცესისას ძირითადი წარმოდგენა მოიაზრებს იმ იდეას, რომ წვიმის დროს დინება გადარეცხავს ზედაპირზე დაგროვებული დამაბინძურებლების მხოლოდ ნაწილს და გადარეცხვის მასა პირდაპირპროპორციულია მანამდე დაგროვებული დამაბინძურებლების მასისა (Soonthornnonda et al., 2008).

ვაზემ და ჩიუმ (2002) ექსპერიმენტის დროს გამოარკვეეს, რომ საგრძნობი წვიმის დროს 39.4მმ, დამაბინძურებლების მხოლოდ 35% იქნა გადარეცხილი. კვლევების შედეგად მათ შემოგვთავაზეს დამაბინძურებლების გადარეცხვის 2 შესაძლო კონცეპცია, რომელიც ნაჩვენებია სურათზე 2-3, (a) გადარეცხვის შეზღუდვა და (b) წყაროს შეზღუდვა. დამაბინძურებლები რომლებიც უფრო ხშირი წვიმის ზეგავლენის ქვეშ არიან უფრო წყაროს შეზღუდვისკენ იხრებიან ვიდრე გადაადგილების შეზღუდვისა (Vaze & Chiew, 2002).



ნახაზი 1. 2 - გადარეცხვის პროცესი (აღებულია Vaze და Chiew, 2002).

გადარეცხვის ძირითადი ფაქტორებია გზის ზედაპირი, წვიმის ინტენსივობა და ნაწილაკების ზომა, თუმცა ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი მაინც წვიმის ინტენსივობაა. სარტორიმ (1974) წარმოდგენა გადარეცხვის ექსპონენტური განტოლება. შემდგომში დადგინდა რომ ეს განტოლება შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ყველა ტიპის წყალგაუმტარი ზედაპირისათვის, იმის მიუხედავად რომ თავდაპირველად იგი შემუშავდა როგორც გზების ზედაპირისათვის (Sartor, J.D.; Boyd, G.B.; Agardy, 1974).

$$W = W_0(1 - e^{-kt}) \quad (1.2)$$

სადაც,

W_0 = გარკვეული ზომის ნაწილაკების საწყისი წონა;

t = წვიმის ხანგრძლივობა;

I = წვიმის ინტენსივობა;

$W = t$ დროში გადარეცხილი ნაწილაკების წონა;

K = გადარეცხვის კოეფიციენტი.

სხვა მკვლევარები თავის კვლევებში წარმოადგენენ გადარეცხვის პროცესს რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს აკუმულირებულ დამაბინძურებლებსა და წვიმის ინტენსივობასთან (Alley & Smith, 1981). განტოლება გამოიყურება შემდეგი სახით:

$$\frac{\partial M_a}{\partial t} = -K_{\text{ფ}} i(t) M_a \quad (1.3)$$

სადაც,

M_a = აკუმულირებული დამაბინძურებლების წონა t დროში (კგ),

$i(t)$ = t დროში წვიმის ინტენსივობა (მმ/სთ),

$K_{\text{ფ}}$ = გადარეცხვის კოეფიციენტი (მმ⁻¹),


$K_{\text{ფ}}$ -ს ნაგულისხმევი მნიშვნელობაა 0.18 მმ⁻¹, თუმცადა მიჩნეულია რომ მისი კალიბრაცია უნდა მოხდეს ყოველი ცალკე აღებული აუზისათვის.

პირველი ტალღის ეფექტი

დამაბინძურებლების გადარეცხვის დროს პირველი ტალღის ეფექტი მნიშვნელოვანი ფენომენია. ზოგადად იგი დაფუძნებულია იმ მოსაზრებაზე რომ სანიაღვრე წყლების პირველი პორცია ყოველთვის ყველაზე დაბინძურებულია (Stenstrom & Kayhanian, 2005). მისი ვიზუალური გამოსახულებაა პოლუტოგრაფების ადრეული

პიკები (Aryal & Lee, 2009). პირველი ტალღის ეფექტის დასადგენად „მკვლევრები ძირითადად იყენებენ დამაბინძურებლების სრული მასის კუმულაციურ მნიშვნელობის შეფარდებას მოსული ნალექის კუმულაციურ მასასთან“ (Deletic, 1998).

ზოგადად, დადგენილია რომ პირველ ტალღას აქვს ადგილი, მაშინ როდესაც დაგროვილი დამაბინძურებლების 80%-მდე გადაირეცხება წვიმის პირველ მესამედში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ტალღის ეფექტი შესაძლოა განვითარდეს როგორც სანიაღვრე ასევე საკანალიზაციო ქსელების რეცხვის დროს. იმდენად რამდენადაც პირველი ტალღის დროს გვხვდება დამაბინძურებლების მაქსიმალური კონცენტრაციები, მის განსაზღვრას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს კომბინირებული ქსელების გადამღვრელებისა (CSO) და სანიაღვრე ქსელების სხვადასხვა საკონტროლო სტრუქტურების დიზაინისას (Suárez & Puertas, 2005).



ნახაზი 1. 3 - აშშ გარემოს დაცვის სააგენტოს (EPA-1993) შემუშავებული პირველი ტალღის განსაზღვრის სქემა.

კომბინირებულ ქსელებში ასევე შეიძლება განვითარდეს პირველი ტალღა, რა დროსაც მშრალი ამინდის დროს არსებული მცირე ხარჯი ვერ უზრუნველყოფს ნატანის სრულყოფილ ტრანსპორტირებას რა დროსაც იგი აკუმულირდება მილის ძირზე და გადაირეცხება წვიმის დროს წარმოქმნილი მძლავრი ნაკადისას რაც იწვევს შეწონილი ნაწილაკების კონცენტრაციის მკვეთრ ზრდას (Barco et al., 2008). განასხვავებენ კონცენტრაციაზე დაფუძნებულ (CBFF) პირველ ტალღას და სრულ მასაზე (MBFF)


დაფუძნებულ პირველ ტალღას, რა დროსაც ორი დამატებითი პარამეტრი შემოდის $M(t)$ და $V(t)$ (Sansalone & Cristina, 2004).

პირველი ტალღის განსაზღვრის გზები

პირველი ტალღის დასადგენად 3 მეთოდი გამოიყენება. ისინი დაფუძნებულია მასა/მოცულობის $M(V)$ მრუდზე, თუ იგი 45° ბისექტრისის მაღლაა ესე იგი პირველ ტალღას აქვს ადგილი, რაც უფრო დიდია სხვაობა მრუდსა და ბისექტრისას შორის მით უფრო გამოკვეთილია პირველი ტალღა (Gorgoglione, 2016). $M(V)$ მრუდი წარმოადგენს ორი მრუდის ვარიაციას, ჰიდროგრაფი $Q(t)$ და პოლუტოგრაფისა $C(t)$, სადაც Q არის ხარჯი ($m^3/წ$) ხოლო C კონცენტრაცია ($მგ/ლ$).

I მეთოდი:


საჭიროა ორი დამატებითი პარამეტრის გამოყენება $V(t)$ მოცულობის ის პროცენტული მაჩვენებელი რომელმაც გაიარა სრული $M(t)$ წვიმის მასის განსაზღვრულ პროცენტულ მაჩვენებელში. $M(t)$ და $V(t)$ შეფარდება გარკვეული დროის პერიოდში გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ პირველი ტალღის არსებობა. თუ $M(t)$ უფრო მაღლაა ვიდრე $V(t)$ ადგილი აქვს პირველ ტალღას (Sansalone & Buchberger, 1997; Sansalone & Cristina, 2004).



ნახაზი 1. 4 - განსაზღვრის I მეთოდი.

II მეთოდი:

ამ მეთოდისას დროს დროის t ცვლადი უგულველყოფილია. 45° ბისექტრისა გამოსახულია ნახაზზე $M(t) - Y$ აბსცისაზე ხოლო $V(t) - X$ აბსცისაზე თუ მრუდი აბსცისაზე მაღლა, მაშინ ფიქსირდება პირველი ტალღა.




ნახაზი 1.5 - განსაზღვრის II მეთოდი.

III მეთოდი:

ეს მეთოდი არის II მეთოდის ვარიაცია, იგი დაფუძნებულია $M(t)$ -სა და $V(t)$ -ს ურთიერთკავშირზე რა დროსაც $M(t) = V(t)^b$.

როდესაც $b=1$ იგი 45° ბისექტრისას ემთხვევა ხოლო თუ იგი ნაკლებია 1-ზე მაშინ პირველ ტალღას აქვს ადგილი.



ნახაზი 1. 6 - განსაზღვრის III მეთოდი.

საგეტმა (1996) გაანალიზა ჯამში 80 წვიმის მოვლენა, 7 სხვადასხვა აუზისათვის და აღმოაჩინა b პარამეტრის მრავალფეროვნება. ასევე სხვა მკვლევარებმა დაადგინეს b პარამეტრის სხვადასხვა მნიშვნელობები, ირკვევა რომ ცალკე აღებული აუზისათვის გადარეცხვის მრუდი უპირატესია პირველი ტალღის ეფექტის განსაზღვრისათვის (Anta Alvarez, 2004; Saget et al., 1996).


ცხრილი 1. 6 - პარამეტრის მათემატიკური გამოსახულება, მასა-მოცულობა მრუდეებისათვის.

კვლევა	განტოლება	b პარამეტრი
<i>Helsel et al. 1979, Griffin, 1980. Geiger, 1987.</i>	$M(t) \geq V(t)$	< 1
<i>Stahre and Urbonas, 1990</i>	$M(t) \geq 0.8yV(t) \leq 0.20$	< 0.139
<i>Wanielista and Yousef, 1993</i>	$M(t) \geq 0.5yV(t) \leq 0.25$	< 0.5
<i>Saget et al, 1996</i>	$M(t) \geq 0.8yV(t) \leq 0.3$	< 0.185

ნატანის ტრანსპორტირება

ნატანის ტრანსპორტირების მთავარი განმარტებაა, ორგანული და არაორგანული ნაწილაკების გადაადგილება ზედაპირული დინების მიერ. რაც მეტია ხარჯი მიტ მეტი ნატანი იქნება ტრანსპორტირებული (Czuba, J. A., Magirl, C. S., Czuba, C. R., Grossman, E. E., Curran, C. A., Gendaszek, A. S., & Dinicola, 2011). მას გააჩნია ორი ტიპის ეფექტი, მყისიერი რომელიც ზემოქმედებს ნაკადის ჰიდრაულიკაზე და იგი ძირითადად შეზღუდულია დროში და სივრცეში წყალშემკრები აუზის ზომებიდან გამომდინარე და გრძელვადიანი ეფექტი რომლის ეფექტიც უფრო მასშტაბურია და იგი ზემოქმედებს ზედაპირის ეროზიასა და დეპონირების დინამიკაზე. ჩვენს კვლევაში რომელიც დაკავშირებულია ურბანულ გარემოსთან პირველი ეფექტი უფრო გამოხატულ იქნება.

ურბანულ გარემოში დანალექების არსებობის ძირითადი ეტაპებია: როგორ ხვდებიან ისინი წყალშემკრებ აუზში, მათი დაგროვება წყალგაუმტარ ზედაპირზე, მათი გადარეცხვა წვიმის მიერ და მისი ტრანსპორტირება ზედაპირზე მეჩხერი წყლის მიერ და მათი ტრანსპორტირება მიწებში. წყლის დინებაში დამაბინძურებლების ტრანსპორტირების სამი ტიპი გამოირჩევა: ატაცებული (გახსნილი), რომელიც დინების მიერ არის ატაცებული და მის ზედაპირზე გადაადგილდება ატივანარებული, რომელიც დინების შუა ტანში გადაადგილდება და ძირზე (ზედაპირის ფორმაციის მეთოდით), რომელიც გადახობებით და გადახტომებით გადაადგილება, მათი ჯამი წარმოშობს ე.წ. ჯამურ დატვირთვას (Bertrand-Krajewski, 2006; Coutu et al., 2013; Deletic A, Orr, D, 2005).



ნახაზი 1. 7 - ნატანის ტრანსპორტირების ტიპები.

ნატანის გადატანასთან დაკავშირებული ზედაპირული პროცესები შესაძლებელი შემდეგი ძირითადი პრინციპებით აღიწეროს.

- ურბანულ ზედაპირზე და ავტოსტრადებზე, ზედაპირული დინება ძირითადად წყალგაუმტარ ზედაპირზე ფორმირდება,
- მისი დინება ცხურებისაკენ ძირითადად მეჩხერია,
- წყლის დინების პატარა სიღრმის გამო ისეთი ფაქტორები როგორცაა გრავიტაცია და დალექვის სიჩქარე შესაძლებელია უგულვეყოფილ იქნეს,
- ნალექების ტრანსპორტირებისას, ძირითადი ფაქტორებია, ზედაპირის მქისიანობა, ნაწილაკების ზომა და დინების სიჩქარე,
- ძირითადად ნაწილაკების გადაადგილება ხდება ატაცებულ (შექვივარებულ) ან ძირზე გადაადგილებით (გადახობება, გადახტომით),
- გადარეცხვის ეტაპზე ნალექების დროს, წვიმის წვეთის კინეტიკური ენერგიაც უნდა იქნას გათვალისწინებული,
- მილებში ნაწილაკების გადაადგილებისას მნიშვნელოვანი ფაქტორებია, მილის დიამეტრი, ქანობი, ზედაპირის მქისიანობა, ნაწილაკების ზომა და დინების სიჩქარე,
- დალექვის ჭებში, გათვალისწინებულ უნდა იქნეს სრული მოცულობა, დალექვის სიმაღლე, ნაწილაკების ზომა და დინების თვისება მათი შექვივარებულ მდგომარეობაში ყოფნისა.

არსებული კვლევისათვის აშშ-ს, გარემოს დაცვის სააგენტოს მიერ შემუშავებული (EPA) მოდელირების პროგრამა SWMM იქნა შერჩეული და გამოყენებული, შესაბამისად მოყვანილი ფორმულები მასთან იქნება დაკავშირებული.

SWMM, მოდელში დინების მოძრაობა დაფუძნებულია ცვლადი არა სტაციონარული ზედაპირული დინებაში მასის და იმპულსის შენარჩუნების ფორმულაზე. ამ მიზნით სენ-ვენანის განგრძობითი და იმპულსის 1D ფორმულები გამოიყენება:

$$\frac{\partial A}{\partial t} + \frac{\partial Q}{\partial x} = 0 - \text{განგრძობითი ფორმულა,} \quad (1.4)$$

$$\frac{\partial Q}{\partial t} + gA \frac{\left(\frac{Q^2}{A}\right)}{\partial x} + gA \frac{\partial H}{\partial x} + gAS_f = 0 \quad - \text{იმპულსის ფორმულა,} \quad (1.5)$$

სადაც: $\frac{\partial Q}{\partial t}$ დინების ხარჯის ცვლილებაა დროში, g გრავიტაციაა, t დროა, A კვეთის ფართობია, H ჰიდრავლიკური დაწნევა, x მანძილი, S_f ქანობის ხახუნის ენერჯიაა, ხოლო Q ხარჯია (Rossman, 2017).

ფორმულები გამოიყენება სისტემის ყველა ელემენტისათვის დროის ნებისმიერ მომენტისათვის.

მოვლენის საშუალო კონცენტრაცია (მსკ)

იმისათვის რომ შედარებულ იქნეს, სხვადასხვა წყალშემკრების და სხვადასხვა დროის მოვლენები, საჭიროა დამაბინძურებელთა სართო მასის გამოვლენა, ამისათვის მოვლენის საშუალო კონცენტრაცია (მსკ) და აუზის საშუალო კონცენტრაციები (ასკ) გამოიყენება. ისინი მნიშვნელოვანი ინდექსებია სხვადასხვა მოვლენისათვის და მკვლევარებში და ინჟინრებში მათი ფართო გამოყენება ხდება (Sansalone & Buchberger, 1997).

მსკ-ს გამოიანგარიშება როგორც მოვლენის დროს გადატანილი დამაბინძურებლების სრული მასა (M) გაყოფილი ნაკადის სრულ მოცულობაზე (V) და გამოითვლება შემდეგი ფორმულით:

$$EMC = \frac{M}{V} = \frac{\int_0^T C(t)Q(t)dt}{\int_0^T Q(t)dt} \quad (1.6)$$

სადაც: $C(t)$ დროში ცვალებადი კონცენტრაციაა (მგ/ლ), $Q(t)$ დინების ხარჯია მოცემულ მომენტის ($m^3/წთ$). თუმცაღა რეალობაში კონცენტრაციის და ხარჯის გაზომვა წვიმის დროს ხდება დროის ტოლ მონაკვეთებში შესაბამისად მსკ-ს გამოთვლა შეგვიძლია შემდეგი მეთოდით:

$$EMC = \frac{\sum_i c_i q_i}{\sum_i q_i} \quad (1.7)$$

სადაც: q_i და c_i წარმოადგენენ დინების ხარჯსა და დამაბინძურებლების კონცენტრაციას მოცემული i -რი დროისათვის (Gorgoglione, 2016).

აუზის საშუალო კონცენტრაცია (ასშ)

აუზის საშუალო კონცენტრაცია გამოიყენება ერთი წყალშემკრები აუზის დამაბინძურებლების შესაფასებლად. მის გამოსათვლელად იგივე აუზის მსშ-ს გარკვეული რაოდენობის ძირითადად 15 მონაცემებს იყენებენ (Mourad, M., Bertrand-Krajewsky, J.L., and Chebbo, 2005). მის დასათვლელად ასევე 3 მეთოდი გამოიყენება თუმცა ჩვენს შემთხვევაში შეწონილი საშუალოს მეთოდს გამოვიყენებთ რომლის ფორმულაც გამოიყურება შემდეგი სახით:

$$SMC = \frac{\sum_{j=1}^n EMC_j V_j}{\sum_{j=1}^n V_j} \quad (1.8)$$

სადაც: $j=1\dots n$ მოვლენების რიცხი, V_j j -რი მოვლენის სრული მოცულობაა მ³, C_j მოვლენის ჯამური კონცენტრაციაა მგ/ლ.

თავი II მოდელის აღწერა

2.1 ციფრული მოდელები

ურბანული წყლების მოდელირების მთავარი მიზანია არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და ამ პრობლემების გადაჭრის გზების განსაზღვრა და შეთავაზება. ამის მისაღწევად მთავარი მონაცემები უნდა იყოს თუმცა არ არის შემოსაზღვრული, ნალექები, დამაბინძურებლები, ზედაპირის თავისებურებანი, წყლის სისტემები (ზედაპირული და მიწის ქსელი) და მათი კავშირის ფიზიკური და არა-ფიზიკური პარამეტრები (Castro Díaz et al., 2008). მოდელების მთავარი გამოწვევაა იყოს კონცეპტუალურად იოლი და ეფექტური კომპიუტერული გამოთვლების კუთხით, გამოთვლების დრო და ფაილების ზომა (Djordjević et al., 1999). ხოლო მათი გამოყენების მთავარი აზრი ემყარება იმ პრინციპს რომ იგი როგორც მინიმუმ ერთი წყალშემკრები აუზისათვის უნდა კალიბრირებული და ვერიფიცირებული, ხოლო შემდეგ მისი გამოყენება მოხდეს მსგავსი პარამეტრების მქონე აუზებისათვის, მათი გამოყენება შესაძლებელია ჩამონადენის სხვადასხვა პარამეტრების გასაანალიზებლად და სისტემების მეტად მორგებული დიზაინის შესაქმნელად. მოდელების გამოყენებით შესაძლებელია შემდეგი პარამეტრების ანალიზი და წინასწარი განსაზღვრა:

- ჩამონადენის დახასიათება და შეტბორვის არეალების განსაზღვრა,
- შეყოვნების ავზების დიზაინი,
- სედიმენტაცია და ნატანის ტრანსპორტირება,
- წყლის სისტემების დიზაინი,
- წყალგამწმენდი ნაგებობების დიზაინი,
- წყლის ხარისხი,
- ეკონომიკური ეფექტურობის ანალიზი.

ურბანული წყლების ჩამონადენის მოდელები წარმოადგენენ ორ ცალკე აღებულ პროცესს, წყლის ზედაპირული დინება და მათი დინება მიწის ქსელში, თავიდან მათი კავშირი ცალმხრივი როდესაც წყალი მხოლოდ ერთი მიმართულებით მიედინებოდა, ზედაპირიდან წყალარინების ქსელისაკენ, თუმცაღა მათმა შემდეგმა განვითარებამ

საშუალება მოგვცა გადავსებულ სისტემების ანალიზისა, ანუ როდესაც წყალარინების სისტემა მიაღწევს მისი წარმადობის მაქსიმუმს იგი ვეღარ იღებს ზედმეტ ხარჯს, წყალი ქსელიდან ამოედინება ზედაპირზე (უკუდინება), იწვევს მის შეტბორვას, წყალი მიემართება სისტემის შემდეგი ელემენტისკენ, ხოლო როდესაც სისტემა დაუბრუნდება თავის გამტარუნარიანობას ზედმეტი წყალი ისევ ბრუნდება სისტემაში (Cadorniga, 2015; Chen et al., 2007). თეორიულად სასურველია ისეთი მოდელების გამოყენება რომლებიც სრულად ასახავს წყალშემკრები აუზის ფიზიკურ პროცესებს და მათ დროში და სივრცეში ცვალებადობას, თუმცა პრაქტიკაში ამ პროცესების უმეტესობა და მათი კავშირები რთული აღსაწერია ან თუ მოხდა მათი აღწერა მათი კომპიუტერული გამოთვლა სხვა სირთულეებთან იქნება დაკავშირებული (Avelleneda et al., 2009). ფიზიკური კუთხით მოდელებში წყალშემკრები აუზი წარმოდგენილია როგორც მცირე ტბორები დაკავშირებული ერთმანეთთან მილები, ჭებით და სისტემის სხვა კომპონენტებით ასეთივე მიდგომაა გამოყენებული ჩვენს მიერ შერჩეულ SWMM მოდელშიც.

ჰიდრავლიკური კუთხით, ზედაპირული წყლის დინების წარმოშობა და მისი დინება ცხურების გავლით სადრენაჟე ქსელში დაფუძნებულია ორ ძირითად მათემატიკურ რეპლიკაციაზე, ერთი მათგანი დაფუძნებულია ე.წ. ერთეული ჰიდროგრაფის მიდგომაზე, დროის ერთეული, წრფივი და არა წრფივი დაგროვების მოდელები, მეორეს მხრივ ისინი ეყრდნობიან სენტ-ვენანის გამარტივებულ ფორმულებს მეჩხერი წყლისათვის, ეს მიდგომა უფრო და უფრო პოპულარული ხდება თანამედროვე ურბანულ მოდელებში.

